

საკანონმდებლო წინადადება

ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონში და „თბილისის შესახებ კანონში“ ცვლილებების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საქართველოში მოქმედი სისტემა არ პასუხობს დემოკრატიული საარჩევნო სისტემისთვის აღიარებულ სტანდარტებს. კერძოდ, არსებულ სისტემას აქვს შემდეგი ხარვეზები:

- მუნიციპალტეტის საკრებულოში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის დაუშვებელი და მნიშვნელოვანი სხვაობა (ე.წ. „ხმის წონის თანაბრობის“ პრობლემა);
- სუბიექტების მიერ მიღებულ ხმებსა და მიღებულ მანდატებს შორის მნიშვნელოვანი არაპროპორციულობა;
- მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობასა და საკრებულოს წევრთა რაოდენობებს შორის მკვეთრი შეუსაბამობა. მაგ:
 - ქუთაისი - 154 000 ამომრჩეველი - 25 საკრებულოს წევრი;
 - დმანისი - 22 000 ამომრჩეველი - 32 საკრებულოს წევრი.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას საარჩევნო სისტემის დასახელებული ხარვეზები, ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებას და საზოგადოებას ვთავაზობთ ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემის რეფორმის პროექტს:

1. საარჩევნო სისტემა:

ვარიანტი „ა“:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოები აირჩევა მხოლოდ პროპორციული სისტემით - ერთიანი სიებით;
2. შემცირდება საკრებულოს წევრთა (შესაბამისად ბიუროკრატიული ხარჯების) რაოდენობა:

2.1. თბილისის საკრებულო - 45 წევრი;

2.2. საკრებულოები, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 60 000 ამომრჩეველზე მეტია - 30 წევრი;

2.3. საკრებულოები, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 30 000-დან 60 000-მდეა - 25 წევრი;

2.4. საკრებულოები, რომელთა მუნიციპალიტეტებშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 30 000-მდეა - 20 წევრი;

ვარიანტი „ბ“:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოები აირჩევა შერეული (პროპორციული / მაჟორიტარული სისტემით):

1.1. თბილისის საკრებულო - 30 - პროპორციული, 15 - მაჟორიტარული;

1.2. საკრებულოები, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 60 000 ამომრჩეველზე მეტია - 20 - პროპორციული, 10 - მაჟორიტარული;

1.3. საკრებულოები, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 30 000-დან 60 000-მდეა - 16 - პროპორციული, 8 - მაჟორიტარული;

1.4. საკრებულოები, რომელთა მუნიციპალიტეტებშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 30 000-მდეა - 14 - პროპორციული, 7 - მაჟორიტარული.

მაჟორიტარული ოლქები იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით (ამომრჩევლის ხმის წონის თანაბრობის პრინციპის

უზრუნველყოფა). პროპორციული მანდატები განაწილდება ე.წ. გერმანული მოდელის მიხედვით;

2 მანდატები განაწილდება იმ საარჩევნო სუბიექტებს შორის, რომლებიც გადალახავენ ხმათა 3%-იან ბარიერს.

1. ახალი მემარჯვენეები
2. ახალი საქართველო
3. ახალი ქრისტიან-დემოკრატები
4. გაერთიანებული დემოკრატიული-მოდრაობა
5. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო
6. ევროპელი დემოკრატები
7. ეროვნული ფორუმი
8. თავისუფალი დემოკრატები
9. თავისუფალი საქართველო
10. თავისუფლება
11. ლეიბორისტული პარტია
12. მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის
13. პატრიოტთა ალიანსი
14. ტრადიციონალისტთა კავშირი
15. ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა